



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

კომისიონერი და საჯარო ინფორმაციის ღიაობა

(მსოფლიო პრაქტიკის მიმოხილვა)

ავტორი: კონსტანტინე ჯანჯღავა

მარტი, 2013

## სარჩევი

შესავალი .....	3
ინფორმაციის თავისუფლების სფეროს ზედამხედველობა .....	4
საჩივრების განხილვა .....	9
სანქციების მექანიზმი .....	14
რეკომენდაციების გაწევა .....	20
ცნობიერების ამაღლების ფუნქცია.....	23
დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება .....	25
რეკომენდაციები.....	33

## შესავალი

გლობალურ ჭრილში ინფორმაციის თავისუფლების სფეროს რეგულირების საკითხთან მიმართებაში, წინა პლანზე იწევს შესაბამისი სახედამხედველო ორგანოს - *ინფორმაციის კომისიონერის* ზოგადი ფუნქცია-მოვალეობების და ინსტიტუციონალური ასპექტების განხილვის საჭიროება. სწორედაც, ამ საკითხს ეხება თავისი არსით წინამდებარე კვლევა. მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე, შევეცდებით მკითხველს მივაწოდოთ ინფორმაცია, თუ რა როლს თამაშობს ინფორმაციის კომისიონერი საჯარო ინფორმაციის ღიაობის კონტექსტში.

აღნიშნული შესაძლებელია საკმაოდ აქტუალური აღმოჩნდეს ჩვენი სახელმწიფოს ინფორმაციის თავისუფლების პრაქტიკისთვისაც, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს საჯარო ინფორმაციის კომისიონერის ინსტიტუტს. არსებითად ომბუდსმენის თვისებების მატარებელი ამ ორგანოს ფუნქციათა განსაზღვრა, შესაძლებელია პრაქტიკულ მნიშვნელობას ატარებდეს პოტენციურ საკანონმდებლო ცვლილებებზე საუბრისას. საჯარო ინფორმაციის ღიაობის პოლიტიკის გაუმჯობესება, საჯარო დაწესებულებათა კონტროლის გაძლიერება, საჯარო მოსამსახურეთა ცნობიერების ამაღლება, საზოგადოების მეტი დაცულობა - ეს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ იმ სიკეთეთა არასრული ჩამონათვალია, რომელიც საქართველოში საჯარო ინფორმაციის კომისიონერის აპარატის შემოღებით თუ არა, მსოფლიოს ქვეყნებში არსებულ ამ ორგანოს ფუნქციური ელემენტების გადმოღებით არის მეტ-ნაკლებად მიღწევადი.

## ინფორმაციის თავისუფლების სფეროს ზედამხედველობა

ინფორმაციის კომისიონერის ძირითადი საზედამხედველო ფუნქცია უხეშად შეიძლება ორი მიმართულებით დაიყოს - ინფორმაციის თავისუფლების და პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროების ზედამხედველობა. თუმცა, მაგალითად, ავსტრალიის ინფორმაციის კომისიონერის ოფისი<sup>1</sup> გვთავაზობს რეგულირების მესამე სფეროსაც - ინფორმაციული პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკის პრინციპია ხედავს, რომ მთავრობის ორგანოებში არსებული ინფორმაცია წარმოადგენს ეროვნულ რესურსს. შესაბამისად, კომისიონერის ოფისი აწვდის ქვეყნის მთავარ ოფიცერს იუსტიციის სფეროში (Attorney-General) ანგარიშს ავსტრალიის მთავრობის ინფორმაციული მენეჯმენტის პოლიტიკისა და პრაქტიკის შესახებ, მ.შ. ინფორმაციის თავისუფლების სფეროში.<sup>2</sup>

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამჟამინდელი მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის თავისუფლების ფედერალური კომისიონერი, 2006 წლამდე, ანუ გერმანიის ინფორმაციის თავისუფლების აქტის ამოქმედებამდე, იწოდებოდა „მონაცემთა დაცვის ფედერალურ კომისიონერად“ და მის ფუნქციებში შედიოდა მხოლოდ მონაცემთა დაცვის მონიტორინგი ფედერალურ საჯარო დაწესებულებათა, აგრეთვე სატელეკომუნიკაციო და საფოსტო მომსახურების მიმწოდებელ კომპანიების მიერ.<sup>3</sup>

საზედამხედველო ფუნქციების ორ ძირითად მიმართულებას სრულად ეხმაურება აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სამეფოს

<sup>1</sup> ოფისი შექმნილია 2010 წლის აქტით „ავსტრალიის ინფორმაციის კომისიონერის შესახებ“. ხელმისაწვდომია: <http://www.comlaw.gov.au/Details/C2012C00126>

<sup>2</sup> ინფორმაცია ამოღებულია, 2013 წლის 29 იანვარს. ბმულიდან: [http://www.oaic.gov.au/infopolicy-portal/about\\_infopolicy.html](http://www.oaic.gov.au/infopolicy-portal/about_infopolicy.html) აქვე გასათვალისწინებელია, რომ ავსტრალია უნიკალურია იმით, რომ ამ ქვეყნის ინფორმაციის კომისიონერის ოფისი აერთიანებს სამ დამოუკიდებელ კომისიონერს: ავსტრალიის ინფორმაციის კომისიონერს, ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერს და პერსონალური მონაცემების კომისიონერს.

<sup>3</sup> ინფორმაცია ამოღებულია, 2013 წლის 29 იანვარს. ბმულიდან: [http://www.bmi.bund.de/EN/Ministerium/Beauftragte/BeaufDatenschutzInffrei/beaufdatenschutzinffrei\\_node.html](http://www.bmi.bund.de/EN/Ministerium/Beauftragte/BeaufDatenschutzInffrei/beaufdatenschutzinffrei_node.html)

ინფორმაციის კომისიონერის ოფისიც, რომლის ფუნქციებში შედის ისეთი აქტების აღსრულების ზედამხედველობა, როგორებიცაა მაგალითად: 1998 წლის მონაცემთა დაცვის აქტი, 2000 წლის ინფორმაციის თავისუფლების აქტი, 2003 წლის კერძო საიდუმლოებისა და ელექტრონულ კომუნიკაციათა რეგულაციები, 2004 წლის გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის აქტი და *მისთ.*<sup>4</sup> იგივე შეიძლება ითქვას, მაგალითად, **სლოვენის რესპუბლიკის** ინფორმაციის კომისიონერზე,<sup>5</sup> რომლის მკაფიოდ განსაზღვრული ორი ფუნქციიდან ერთ-ერთი - ინფორმაციაზე წვდომის ხელშეწყობა, ძირითადად გულისხმობს საჯარო ინფორმაციაზე წვდომის აქტის იმპლემენტაციის ზედამხედველობას.

ინფორმაციის თავისუფლების სფეროს ზედამხედველობის მიდგომის განსხვავებული მოდელი შემოთავაზებულია **ამერიკის შეერთებული შტატების** მიერ, სადაც სამთავრობო ინფორმაციული სერვისების ოფისი ასრულებს ინფორმაციის თავისუფლების ფედერალური ომბუდსმენის ფუნქციებს. აღნიშნული, მათ შორის, მოიცავს ინფორმაციის თავისუფლების პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვის, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების, აგრეთვე ფედერალური სააგენტოების მიერ კანონის სწორი აღსრულების ზედამხედველობის ფუნქციებს.<sup>6</sup>

საინტერესო მოდელი შემოთავაზებულია **ირლანდიის რესპუბლიკის** ინფორმაციის კომისიონერის ოფისის<sup>7</sup> მაგალითზე. ამ შემთხვევაში, რესპუბლიკის ომბუდსმენისა და ინფორმაციის კომისიონერის თანამდებობას ერთიდაიგივე პირი ითავსებს. როგორც კომისიონერს, მას გააჩნია მძლავრი ფუნქციონალური სპექტრი, მაგალითად: საჯარო დაწესებულებათა მიერ ინფორმაციის თავისუფლების აქტის მოთხოვნათა შესრულების ზედამხედველობის მიზნით გამოძიების ჩატარება, შესაბამისი ანგარიშების გამოქვეყნება, ნებისმიერი პირისათვის საქმისათვის

<sup>4</sup> ინფორმაცია ამოღებულია, 2013 წლის 29 იანვარს. ბმულიდან:

[http://www.ico.gov.uk/about\\_us/our\\_organisation/introduction.aspx](http://www.ico.gov.uk/about_us/our_organisation/introduction.aspx)

<sup>5</sup> თანამდებობა შემოღებულია 2005 წლის ინფორმაციის კომისიონერის აქტით.

<sup>6</sup> ინფორმაცია ამოღებულია, 2013 წლის 29 იანვარს. ბმულიდან: <https://ogis.archives.gov/>

<sup>7</sup> ოფისი შექმნილია 1997 წლის ინფორმაციის თავისუფლების აქტით. ხელმისაწვდომია:

<http://www.irishstatutebook.ie/1997/en/act/pub/0013/index.html>

მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოთხოვნა და ამ მიზნით მის წინაშე გამოცხადების დავალებულება, ნებისმიერ საჯარო დაწესებულების ტერიტორიაზე დაუბრკოლებლად შესვლა და, საჭიროებისამებრ, დოკუმენტების ასლების გადაღება, მათი გონივრული ვადით შენახვა. ამ ფუნქციათა აღსრულების ხელშეშლა ისჯება ჯარიმით ან პატიმრობით ექვსი თვით ვადამდე.<sup>8</sup>

როგორც ირკვევა, მსოფლიოს სახელმწიფოები ანიჭებენ შესაბამის ინსტიტუტებს ინფორმაციის თავისუფლების ზედამხედველობის ფუნქციას. ხსენებული ორგანოები, რიგ შემთხვევებში, ინფორმაციის კომისიონერის სახით გვევლინებიან,<sup>9</sup> ამასთან კომისიონერის ინფორმაციის თავისუფლების ომბუდსმენად მოხსენიება ან ომბუდსმენტთან კომისიონერის ფუნქციების შეთავსება, გამოწვეულია ომბუდსმენტის საქმიანობის ზოგადი მიზნით - ზედამხედველობა ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემაზე. ამ მიზნის, ერთ-ერთ ნაწილად, შეიძლება მოაზრებულ იქნეს ადმინისტრაციულ ორგანოებში საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე, მისი ასლების მიღების უფლების დაცვასა და პატივისცემაზე ზედამხედველობაც.

<sup>8</sup> ინფორმაცია ამოღებულია, 2013 წლის 29 იანვარს. ბმულიდან: <http://www.oic.gov.ie/en/about-us/role-functions-and-powers-of-the-information-commissioner/reviewing-the-operation-of-the-freedom-of-information-acts/>

<sup>9</sup> ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით მოვიყვან განმარტებას დიდი ბრიტანეთის პრაქტიკის მაგალითზე: ინფორმაციის კომისიონერი არის თანამდებობის პირი, რომელიც ხელმძღვანელობს ინფორმაციის კომისიონერის ოფისს (ანალოგიის სახით - აპარატს). ამასთან, ხშირად ტერმინში - კომისიონერი, კონტექსტუალურად კომისიონერის ოფისიც იგულისხმება ხოლმე.

<p><b>ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოების ტიპები<sup>10</sup></b></p>
<p><b>ინფორმაციის კომისიონერი</b> - დიდი ბრიტანეთი (კომისიონერის ოფისი), ირლანდია (კომისიონერის ოფისი), სლოვენია, სერბეთი, შვეიცარია (კომისიონერის ოფისი), უნგრეთი, ავსტრალია (კომისიონერის ოფისი), შოტლანდია (კომისიონერის ოფისი), გერმანია, კანადა (კომისიონერის ოფისი), კაიმანის კუნძულები (კომისიონერის ოფისი).</p>
<p><b>კომისია/ინსტიტუტი</b> - საფრანგეთი (ადმინისტრაციულ დოკუმენტებზე წდომის კომისია), ბელგია (ადმინისტრაციულ დოკუმენტებზე წდომის კომისია), პორტუგალია (ადმინისტრაციულ დოკუმენტებზე წდომის კომისია), ინდოეთი (ინფორმაციის ცენტრალური კომისია), ტაილანდი (ოფიციალური ინფორმაციის კომისიის ოფისი), მექსიკა (საჯარო ინფორმაციის წდომაზე ფედერალური ინსტიტუტი), მაკედონია (საჯარო ინფორმაციაზე წდომის უფლების დაცვის კომისია), იტალია (ადმინისტრაციულ დოკუმენტებზე წდომის კომისია).</p>
<p><b>ომბუდსმენი</b> - ევროპა (ევროპის ომბუდსმენი), შვედეთი, დანია, ნორვეგია, ფინეთი, კოსოვო (კოსოვოს ომბუდსმენის დაწესებულება), ავსტრია (ავსტრიის ომბუდსმენის საბჭო), ნიდერლანდები, საბერძნეთი (ომბუდსმენის ოფისი), ალბანეთი (სახალხო ადვოკატი), ბოსნია და ჰერცეგოვინა (ადამიანის უფლებათა ომბუდსმენი), ჩეხეთის რესპუბლიკა (უფლებათა სახალხო დამცველის ოფისი), ბარბადოსი (ომბუდსმენის ოფისი), ტრინიდადი და ტობაგო (ომბუდსმენის ოფისი), ბოლივია, ჰონგ-კონგი (ომბუდსმენის ოფისი), კოლუმბია, ეკვადორი, ახალი ზელანდია (ომბუდსმენის ოფისი), აზერბაიჯანი (ომბუდსმენის ოფისი), სომხეთი (ადამიანის უფლებათა დამცველი).</p>

<sup>10</sup> ინფორმაცია შედგენილია 2013 წლის 29 იანვარს ხელმისაწვდომი ბმულებიდან: <http://www.right2info.org/information-commission-ers-and-other-oversight> და <http://info-commissioners.org/>

**სხვა ორგანო** - აშშ (სამთავრობო ინფორმაციული სერვისების ოფისი), იამაიკა (ინფორმაციაზე წვდომის ქვედანაყოფი, პრემიერ-მინისტრის ოფისი), ესტონეთი (მონაცემთა დაცვის ინსპექტორატი), უკრაინა (ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომისია), თურქეთი (ინფორმაციაზე წვდომის უფლების შეფასების საბჭო), ნიკარაგუა (საგარეო საქმეთა სამინისტრო), ბრაზილია (ფედერალური მთავრობის სააგენტო - გენერალური კონტროლიორის ოფისი), ისლანდია (ინფორმაციის კომიტეტი), ჩილე (გამჭვირვალობის საბჭო), ურუგვაი (ელ. მმართველობის მენეჯმენტის განვითარების, ინფორმაციული საზოგადოებისა და ცოდნის სააგენტო), სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (სამხ. აფრიკის რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა კომისიონერი).



## საჩივრების განხილვა

რიგი სახელმწიფოების მაგალითზე, ინფორმაციის კომისიონერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად მიჩნეულია საჩივრების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების ფუნქცია. მაგალითად, ყოველწლიურად დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სამეფოს რესპუბლიკის ინფორმაციის კომისიონერის ოფისში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული დაახლოებით 2 500 საჩივარი შედის,<sup>11</sup> რომელთა საფუძველზეც ოფისი, საჭიროებისამებრ, გამოსცემს საჯარო დაწესებულებებისათვის ქმედებათა განხორციელების დამავალდებულებელ შესაბამის გადაწყვეტილებებს.<sup>12</sup>

ინფორმაციის კომისიონერის ოფისი ითვალისწინებს არამარტო საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებულ საჩივრების განხილვას, არამედ პერსონალურ მონაცემებთან, არასასურველ ელექტრონულ მარკეტინგთან (ტელეფონის, ელ.ფოსტის და ა.შ. მეშვეობით მიღებისას) და თვით ოფისის საქმიანობით უკმაყოფილებასთან დაკავშირებულ საჩივრების განხილვასაც.<sup>13</sup>

კომისიონერისათვის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებული საჩივრით მიმართვისათვის საფასური ზოგადად არ არის დაწესებული, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. მაგალითად ირლანდიის რესპუბლიკის ინფორმაციის კომისიონერისთვის მიმართვის შემთხვევაში - საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გადახედვისათვის დაწესებულია ზოგადი საფასური - 150 ევროს ოდენობით.<sup>14</sup>

<sup>11</sup> ინფორმაცია ამოღებულია, 2013 წლის 30 იანვარს. ბმულიდან:

[http://www.ico.gov.uk/what\\_we\\_cover/handling\\_complaints.aspx](http://www.ico.gov.uk/what_we_cover/handling_complaints.aspx)

<sup>12</sup> დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სამეფოს რესპუბლიკის ინფორმაციის კომისიონერის კონკრეტულ გადაწყვეტილებებს საჩივრებზე შეგიძლიათ გაეცნოთ ელექტრონული საძიებო სისტემის მეშვეობით, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:

[http://www.ico.gov.uk/enforcement/decision\\_notices.aspx](http://www.ico.gov.uk/enforcement/decision_notices.aspx)

<sup>13</sup> ინფორმაცია ამოღებულია, 2013 წლის 30 იანვარს. ბმულიდან: <http://www.ico.gov.uk/complaints.aspx>

<sup>14</sup> საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებულია მაგ. საკუთარი პერსონალური მონაცემების გაცნობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გადახედვის მომთხოვნი პირი. ირლანდიის რესპუბლიკის ინფორმაციის კომისიონერისთვის გადახედვის მოთხოვნით მიმართვისათვის

სერბეთის კანონმდებლობა<sup>15</sup> პირდაპირ განსაზღვრავს კომისიონერისათვის საჩივრის წარდგენის სამართლებრივ საფუძვლებს, ესენია:

- დაინტერესებული პირის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა იგნორირებულ იქნა საჯარო დაწესებულების მიერ;
- საჯარო დაწესებულების მხრიდან დაინტერესებულ პირს უარი ეთქვა გაცნობოდა დოკუმენტს, რომელიც შეიცავს მოთხოვნილ ინფორმაციას;
- საჯარო დაწესებულებამ განუცხადა უარი დაინტერესებულ პირს გაეცა მოთხოვნილი ინფორმაცია;
- საჯარო დაწესებულებამ დაარღვია საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ვადები;
- საჯარო ინფორმაციის მისაღებად, საჯარო დაწესებულებამ ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურების გარდა მოთხოვა დაინტერესებულ პირს დამატებითი ხარჯის გაღება;
- საჯარო დაწესებულებამ განუცხადა უარი დაინტერესებულ პირს გაცნობოდა ინფორმაციას თავისი აღჭურვილობის გამოყენებით ან აუკრძალა მოთხოვნის ენაზე არსებული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის ასლის გადაღება.

რაც შეეხება კომისიონერის გადაწყვეტილებებისა და დასკვნების სავალდებულო ხასიათს, სერბეთის რესპუბლიკის მაგალითზე, საჭიროების შემთხვევაში მათ აღმსრულებლად განსაზღვრულია სერბეთის რესპუბლიკის

---

დადგენილი განაკვეთები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: <http://www.oic.gov.ie/en/apply-for-review/how-to-apply-for-review/fees-payable/>

<sup>15</sup> „საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის 22-ე მუხლი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://www.rti-rating.org/pdf/Serbia.pdf>

მთავრობა.<sup>16</sup> აღსანიშნავია, რომ ქმედებათა კანონთან თანხვედრაში ყოფნის მტკიცების ტვირთი ხსენებულ ქვეყანაში საჯარო დაწესებულებებს გააჩნიათ.<sup>17</sup>

შოტლანდიის ინფორმაციის კომისიონერი საქმეს გადასახედად ღებულობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულმა პირმა გამოიყენა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული საკითხის გასაჩივრების საშუალება შესაბამის საჯარო დაწესებულების შიგნით. ამასთან, თუ კომისიონერი საქმის განხილვის საფუძველზე განსაზღვრავს, რომ საჯარო ინფორმაცია ნაწილობრივ ან სრულად ექვემდებარება დაინტერესებულ პირზე გაცემას და ამ გადაწყვეტილებას საჯარო დაწესებულება არ დაემორჩილება, კომისიონერი მიმართავს სასამართლოს.<sup>18</sup>

განსხვავებული მიდგომა არსებობს ავსტრალიის ინფორმაციის კომისიონერის ოფისის მაგალითზე, რა შემთხვევაშიც კომისიონერისათვის მიმართვა არ არის დამოკიდებული საჯარო დაწესებულებისათვის ადმინისტრაციული საჩივრით მიმართვაზე.<sup>19</sup> ავსტრალიაში, აგრეთვე, საინტერესოდაა მოწესრიგებული კომისიონერისა და ომბუდსმენის ურთიერთობა, რა შემთხვევაშიც კომისიონერს უფლება აქვს საჩივარი გადაამისამართოს ომბუდსმენთან, თუ სახეზეა საჯარო დაწესებულების ქმედებათა გასაჩივრების უფრო ფართო საფუძველი და საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული საჩივარი ამ საფუძვლის მხოლოდ ნაწილია.<sup>20</sup> რაც შეეხება საჩივრის გადაწყვეტას, თუ საჯარო დაწესებულება კომისიონერის რეკომენდაციებს არ ასახავს ადეკვატურ ქმედებებში, კომისიონერი გამოსცემს ე.წ. „იმპლემენტაციის ფორმალურ შეტყობინებას“, სადაც მოთხოვნილია საჯარო დაწესებულების მხრიდან რეკომენდაციებთან მიმართებაში სამომავლო ქმედებათა ახსნა-განმარტებები. კომისიონერს აგრეთვე უფლება აქვს შესაბამისი

<sup>16</sup> იხ. ზემოთ, მუხლი 28.

<sup>17</sup> იხ. ზემოთ, მუხლი 24.

<sup>18</sup> ინფორმაცია ამოღებულია, 2013 წლის 31 იანვარს. ბმულიდან: <http://www.itspublicknowledge.info/FAQ/GeneralFAQ/InformationRequestFAQ.asp>

<sup>19</sup> ინფორმაცია ამოღებულია, 2013 წლის 31 იანვარს. ბმულიდან: [http://www.oaic.gov.au/publications/fact\\_sheets/FOI\\_fact\\_sheet12\\_your\\_review\\_rights.html](http://www.oaic.gov.au/publications/fact_sheets/FOI_fact_sheet12_your_review_rights.html)

<sup>20</sup> ინფორმაცია ამოღებულია, 2013 წლის 31 იანვარს. ბმულიდან: [http://www.oaic.gov.au/publications/fact\\_sheets/FOI\\_fact\\_sheet13\\_how\\_to\\_make\\_a\\_complaint.html](http://www.oaic.gov.au/publications/fact_sheets/FOI_fact_sheet13_how_to_make_a_complaint.html)

წერილობითი ანგარიში გადაუგზავნოს დაწესებულების ზემდგომ მინისტრს, რა ანგარიშიც დაექვემდებარება განხილვას პარლამენტში.<sup>21</sup>

საინტერესო ფაქტი შესაძლებელია მოყვანილ იქნეს უნგრეთის მაგალითზე, სადაც დაინტერესებულ პირს გააჩნია არჩევანი - ინფორმაციის გაცემის დამავალდებულებელი მხოლოდ გადაწყვეტილება მოიპოვოს სასამართლოს მეშვეობით, ან მიმართოს ნაკლებად მძლავრ ინფორმაციის კომისიონერს. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ უმეტესობა ირჩევს უკანასკნელ გზას, რადგან სასამართლო საქმის გადაწყვეტას ძალზედ დიდ ხანს შეიძლება მოუხდეს.<sup>22</sup>

ზოგადად მიჩნეულია, რომ საჯარო ინფორმაციის კომისიონერისათვის საჩივრით მიმართვა დაინტერესებულ პირთათვის უფრო ხელმისაწვდომია, რადგან არ არსებობს წარმომადგენლის საჭიროება, არ არის მოთხოვნილი ხარჯების გაღება (ბაჟი ან სხვა სახის გადასახადი)<sup>23</sup> და თვით პროცესი გამოირჩევა დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით.<sup>24</sup>

ინფორმაციის კომისიონერის მიერ საჩივრებზე გამოტანილ წერილობითი გადაწყვეტილებებს მართალია მოიხსენიებენ ხოლმე შესასრულებლად სავალდებულოდ ანუ „მხოლოდ“, თუმცა რეალურად, სასამართლო ხელისუფლების ორგანოებისადმი მიმართვის საჭიროება მაინც სახეზეა.<sup>25</sup> კომისიონერისათვის საჩივრით მიმართვის უპირატესობად განიხილავენ გადაწყვეტილების მიმღებთა ინფორმაციის თავისუფლების საკითხებში განსაკუთრებულ სპეციალიზაციას, მთავრობის არამართლზომიერ ქმედებათაგან შემდგომ ფუნქციასა და სასამართლოს პოტენციური განტვირთვის შესაძლებლობას.<sup>26</sup>

<sup>21</sup> იხ. ზემოთ.

<sup>22</sup> The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank (2009). Laura Neuman. *Access to Information Working Paper Series: Enforcement Models – Content and Context*. გვ. 7. <http://siteresources.worldbank.org/EXTGOVACC/Resources/LNeumanATI.pdf>.

<sup>23</sup> იშვიათი გამონაკლისების გარდა, რაზედაც საუბარი ზემოთ იყო.

<sup>24</sup> The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank. ზემოთ სქოლიო 22.

<sup>25</sup> The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank (2009). Laura Neuman. *Access to Information Working Paper Series: Enforcement Models – Content and Context*. გვ. 8.

<sup>26</sup> The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank. ზემოთ სქოლიო 22.

როგორც ირკვევა, სხვადასხვა ქვეყნის ინფორმაციის კომისიონერის მიერ საჩივრების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის ფუნქცია ერთის მხრივ, ატარებს გარკვეულწილად წნეხის როლს იმ საჯარო დაწესებულებებთან მიმართებაში, რომლებმაც დაარღვიეს კანონი, ხოლო მეორე მხრივ, ემსახურება საჯარო დაწესებულებათა მხრიდან ინფორმაციის თავისუფლების სფეროში სამომავლო დარღვევების პრევენციას.

## სანქციების მექანიზმი

ინფორმაციის კომისიონერის საქმიანობასთან მიმართებაში შესაძლებელია განვასხვავოთ სამი ტიპის სანქციების მექანიზმი - კომისიონერის საქმიანობისათვის დაბრკოლების შექმნით, საჯარო ინფორმაციის გაცემის შეფერხებით და კომისიონერის გადაწყვეტილების უგულვებელყოფით გამოწვეული სანქციები. უპრიანად მიგვაჩნია მეტ-ნაკლები ყურადღება გავამახვილოთ თითოეულ მათგანზე.

კომისიონერის გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის საფუძვლით სანქციათა დაწესების საილუსტრაციო მაგალითად გამოდგება შოტლანდიის პირველი ინფორმაციის კომისიონერის, ბატონ ქევინ დანიონის, განცხადება 2004 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამართულ ინფორმაციის კომისიონერთა შეხვედრაზე: *„საჯარო დაწესებულების მხრიდან დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მე შემიძლია მივმართო სასამართლოს, თუ დაწესებულება საბოლოოდ განაცხადებს უარს ინფორმაციის გაცემაზე, ჩემი გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის საჯარო მოხელე 2 წლით წავა ციხეში ან დაეკისრება ჯარიმა განუსაზღვრელი ოდენობით.“*<sup>27</sup> აღსანიშნავია, აგრეთვე სლოვენის ინფორმაციის კომისიონერის მიერ ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის - Access Info Europe (ესპანეთი) და The Centre for Law and Democracy (კანადა), ამ ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ინფორმაციის თავისუფლების გლობალურ რეიტინგის პარამეტრზე „ინფორმაციის თავისუფლების სფეროს საზედამხედველო ორგანოს მბოჭავი გადაწყვეტილებები“ მიწოდებული კომენტარი - *„ინფორმაციის კომისიონერის გადაწყვეტილებებს გააჩნიათ სრული სამართლებრივი ბოჭვა, გადაწყვეტილებები გამოირჩევიან ფორმალური ხასიათით და შეესაბამებიან ზოგად ადმინისტრაციულ საპროცესო აქტს. მათი აღსრულების უგულვებელყოფისათვის დადგენილია ჯარიმა, ხოლო ერთადერთი საშუალება გადაწყვეტილების გასაჩივრებისა არის*

<sup>27</sup> The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank (2009). Laura Neuman. *Access to Information Working Paper Series: Enforcement Models – Content and Context*. გვ. 27.

ადმინისტრაციული დავა.“<sup>28</sup> თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ ქვეყნებს შორის, სადაც ინფორმაციის თავისუფლების სფეროს ზედამხედველობას ახორციელებს კომისიონერი, მისი გადაწყვეტილებების სანქციებით გამყარების პრაქტიკა იშვიათია, მაგალითად შვეიცარიაში, შემოთავაზებულია ერთ-ერთი ყველაზე „რბილი“ მიდგომა, რა შემთხვევაშიც მონაცემთა დაცვისა და საჯარო ინფორმაციის ფედერალური კომისიონერი გამოდის მედიატორის როლში. მედიაციის მიუხედავად, მხარეთა შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მედიაციის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში იგი მედიაციის მონაწილეებს აწვდის მხოლოდ და მხოლოდ წერილობით რეკომენდაციებს.<sup>29</sup>

გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის დაბრკოლების შექმნაში იგულისხმება - საჯარო დაწესებულებაში არსებული ნებისმიერი ჩანაწერის ცვლილება, წაშლა, დაზიანება, დაბლოკვა, განადგურება ან დამალვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ხელის შეშლის მიზნით. აღნიშნული ქმედება იწვევს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დაჯარიმების ფორმით. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ინფორმაციის კომისიონერს ან მთავარ პროკურორს გააჩნიათ პრეროგატივა განახორციელონ შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის ინიცირება.<sup>30</sup>

ირლანდიის რესპუბლიკაში, ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც დაბრკოლებას შეუქმნის კომისიონერის ფუნქციათა შესრულებას, დადგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რომელიც ითვალისწინებს ფულად ჯარიმას ან/და თავისუფლების აღკვეთას ვადით არაუმეტეს 6 თვისა.<sup>31</sup>

<sup>28</sup> შეკითხვა #42. ინფორმაცია ამოღებულია, 2013 წლის 6 თებერვალს ბმულიდან: [http://www.rti-rating.org/view\\_country.php?country\\_name=Slovenia#sanctions](http://www.rti-rating.org/view_country.php?country_name=Slovenia#sanctions)

<sup>29</sup> „საჯარო ადმინისტრაციაში ინფორმაციის თავისუფლების პრინციპის შესახებ“ ფედერალური აქტი. მუხლები 13-14. ხელმისაწვდომია: <http://www.rti-rating.org/pdf/Switzerland.pdf>

<sup>30</sup> ინფორმაციის თავისუფლების აქტი. მუხ. 77. ხელმისაწვდომია: <http://www.legislation.gov.uk/ukpga/2000/36/section/77>

<sup>31</sup> ინფორმაციის თავისუფლების აქტი. მუხ. 37 (7). ხელმისაწვდომია: <http://www.rti-rating.org/pdf/Ireland.pdf>

საჯარო ინფორმაციის კომისიონერის საქმიანობასთან ირიბ კავშირში მყოფად შეიძლება აგრეთვე მივიჩნიოთ, ზოგადად, ადმინისტრაციული სამართლით განმტკიცებული სანქციების მაგალითებიც, რაც ძირითადად საჯარო ინფორმაციის გაცემის რეგულირებას მოიცავს. ამგვარი მძლავრი რეგულირებით გამოირჩევა ინფორმაციის კომისიონერის თანამდებობის მქონე ორი სახელმწიფო - სერბეთი და სლოვენია:

კერძოდ, სლოვენის საჯარო ინფორმაციაზე წვდომის აქტის თანახმად:

- *საზოგადოებისათვის მიუწვდომლად გახდომის მიზნით, საჯარო ინფორმაციის მომცველი საბუთის, საქმის, დოსიეს, რეესტრის, ჩანაწერის ან დოკუმენტური მასალის განადგურება გამოიწვევს დანაშაულის ჩამდენი პირის დაჯარიმებას მინიმუმ 1 500 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის ოდენობით;*<sup>32</sup>
- *საჯარო დაწესებულების შესაბამისი პასუხისმგებელი მოხელის მიერ საზოგადოებისათვის მიუწვდომლად გახდომის მიზნით, საჯარო ინფორმაციის მომცველი საბუთის, საქმის, დოსიეს, რეესტრის, ჩანაწერის ან დოკუმენტური მასალის განადგურება გამოიწვევს დანაშაულის ჩამდენი პირის დაჯარიმებას მინიმუმ 2 100 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის ოდენობით;*<sup>33</sup>
- *კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით საჯარო ინფორმაციის კატალოგის და სხვა ინფორმაციის გამოქვეყნების ან მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის უგულოვებლყოფა, გამოიწვევს საჯარო დაწესებულების შესაბამისი პასუხისმგებელი*

<sup>32</sup> საჯარო ინფორმაციაზე წვდომის აქტი. მუხ. 39 (1). ხელმისაწვდომია: <http://www.rti-rating.org/pdf/Slovenia.pdf>

<sup>33</sup> იხ. ზემოთ. საჯარო ინფორმაციაზე წვდომის აქტი. მუხ. 39 (2).



მოხელის დაჯარიმებას 900-დან 1800-მდე აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის ოდენობით;<sup>34</sup>

- კომერციული მიზნით საჯარო ინფორმაციის ხელახალი გამოყენება, რომლის ამგვარ გამოყენებასაც საჯარო დაწესებულება კრძალავს, გამოიწვევს ქმედების განმახორციელებელი ფიზიკური პირის დაჯარიმებას 900-დან 1800-მდე აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის ოდენობით, ხოლო მეწარმე სუბიექტის ან იურიდიული პირის დაჯარიმებას 1800-დან 18000-მდე აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის ოდენობით.<sup>35</sup>

ხოლო, „საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის თანახმად:

საჯარო დაწესებულების პასუხისმგებელ საჯარო მოხელეს დაეკისრება ჯარიმა 60-დან 600-მდე აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის ოდენობით, თუ საჯარო დაწესებულება:

- იმოქმედებს „საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონით დადგენილი თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ;
- მოახდენს ჟურნალისტების ან მასმედიის საშუალებების დისკრიმინაციას საჯარო ინფორმაციის გაცემისას;
- უგულვებელყოფს საჯარო ინფორმაციის მატარებლის, საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების ადგილისა და დროის მითითებას, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია უკვე ხელმისაწვდომია საჯაროდ;

<sup>34</sup> იხ. ზემოთ. საჯარო ინფორმაციაზე წვდომის აქტი. მუხ. 39 (3).

<sup>35</sup> იხ. ზემოთ. საჯარო ინფორმაციაზე წვდომის აქტი. მუხ. 39 (4).

- აკრძალავს დაშვებას დოკუმენტზე, რომელიც შეიცავს ზუსტ და სრულ ინფორმაციას;
- აკრძალავს მოთხოვნის ენაზე არსებული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის დაინტერესებული პირისათვის გაცნობას ან ასლის გადაღებას;
- უარს განაცხადებს მოთხოვნის მიღებაზე, არ აუწყებს დაინტერესებულ პირს ინფორმაციის ფლობის შესახებ ან არ დაუშვებს პირს იმ დოკუმენტის გასაცნობად, რომელიც მოიცავს მოთხოვნილ ინფორმაციას, ე.ი. არ უზრუნველყოფს დოკუმენტის ასლის დადგენილი წესით მიწოდებას, უგულვებელყოფს მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გაცემას და უარს განუცხადებს დაინტერესებულ პირებს გაუწიოს აუცილებელი დახმარება საკუთარ უფლებათა განსახორციელებლად;
- საჯარო დაწესებულება უგულვებელყოფს საკუთარი საქმიანობის შესახებ რეესტრის გამოქვეყნებას კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი შემცველი მონაცემებით;
- საჯარო დაწესებულების შესაბამისი პასუხისმგებელი პირი არ მიაწვდის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში კომისიონერს „საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ კანონის იმპლემენტაციის მიზნით განხორციელებულ საქმიანობის შესახებ წლიურ ანგარიშს.<sup>36</sup>

<sup>36</sup> იხ. ზემოთ. სქოლიო 15. „საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონი. მუხლები 46, 47 და 48.

როგორც ირკვევა, სხვადასხვა სახელმწიფოთა პრაქტიკა იყენებს სანქციების მექანიზმს, როგორც ინფორმაციის თავისუფლების სფეროში არსებული საჯარო პროცესების დაცვის საშუალებას. აღნიშნული ძირითადად ემსახურება ინფორმაციის კომისიონერის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა მინიმიზაციის, საჯარო დაწესებულებათა მიერ ინფორმაციის გაცემის საქმიანობის გამართულობის და რიგ შემთხვევებში, კომისიონერის გადაწყვეტილებათა სავალდებულო ძალის უზრუნველყოფის მიზნებს.

## რეკომენდაციების გაწევა

სწორედაც რომ რეკომენდაციათა გაწევის ფუნქციაშია ინფორმაციის კომისიონერის ყველაზე დიდი არსობრივი სიახლოვე ომბუდსმენის ინსტიტუტთან. აღნიშნულ ფუნქციას ხშირად ახასიათებს ე.წ. **sua sponte**<sup>37</sup> ანუ საკუთარი ინიციატივით საქმეთა შესწავლის შესაძლებლობაც.

საჯარო დაწესებულებათა მხრიდან ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის მოთხოვნათა სერიოზული და განგრძობითი უგულვებელყოფის შემთხვევაში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სამეფოს ინფორმაციის კომისიონერის ოფისი მიმართავს „მარეგულირებელ ქმედებებს.“ ზუსტად ხსენებულ ქმედებათა შემადგენელ ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს ე.წ. „რეკომენდაცია პრაქტიკისათვის“, რაც წარმოადგენს ინფორმაციის თავისუფლების კარგი პრაქტიკის უგულვებელყოფის საპასუხო ზომას. რეკომენდაცია მოიცავს ნაბიჯებს, რომელიც ინფორმაციის კომისიონერის აზრით საჭიროა გადადგას საჯარო დაწესებულებამ, რათა უზრუნველყოს ინფორმაციის თავისუფლების სფეროს პრაქტიკასთან საკუთარი შესაბამისობა. ხსენებული რეკომენდაციის შეუსრულებლობის ფაქტი აისახება ინფორმაციის კომისიონერის ოფისის წლიურ ანგარიშში პარლამენტისადმი.<sup>38</sup>

ანალოგიურ რეკომენდირების მექანიზმს ვაწყდებით შოტლანდიის კომისიონერის მაგალითზეც, იმ დათქმის გათვალისწინებით, რომ საჯარო დაწესებულებისათვის რეკომენდაციის მიცემამდე, კომისიონერი ვალდებულია

<sup>37</sup> ლათინური - „საკუთარი ნებით“, „გარე კარნახის გარეშე.“

<sup>38</sup> Information Commissioner’s Office (2010, V.3.0). *Freedom of Information Regulatory Action Policy*. გვ. 5. ხელმისაწვდომია:

[http://www.ico.gov.uk/what\\_we\\_cover/taking\\_action/~media/documents/library/Freedom\\_of\\_Information/Detailed\\_specialist\\_guides/freedom\\_of\\_information\\_regulatory\\_action\\_policy.ashx](http://www.ico.gov.uk/what_we_cover/taking_action/~media/documents/library/Freedom_of_Information/Detailed_specialist_guides/freedom_of_information_regulatory_action_policy.ashx)

კონსულტაცია გაიაროს შოტლანდიის ეროვნული არქივების ხელმძღვანელთან, თუ კარგი პრაქტიკა შეეხება ჩანაწერების შენახვას, მართვას და განადგურებას.<sup>39</sup>

რეკომენდაციების გაწევის საკმაოდ ფართო ფუნქციით აღჭურვილია სერბეთის რესპუბლიკის საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციის კომისიონერი. გარდა საჯარო დაწესებულებებისათვის ინფორმაციის თავისუფლების სფეროში საქმიანობის გაუმჯობესების ზომების შეთავაზების ზოგადი ფუნქციისა, კომისიონერის უშუალო ფუნქციას წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის ასლის მოსაკრებლის გადახდისა და გადასახადისაგან გათავისუფლების პრაქტიკის ზედამხედველობა და ამ პრაქტიკის სტანდარტიზების მიზნით საჯარო დაწესებულებებისათვის რეკომენდაციების გაცემა. ამასთან, საკუთარ მოვალეობათა შესრულებისას გამოთქმული აზრისათვის ან გაცემული რეკომენდაციისათვის, კომისიონერს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.<sup>40</sup>

კანადაში, ინფორმაციის კომისიონერი **მაკორეგირებელ** ქმედებათა შესახებ რეკომენდაციას გაუწევს საჯარო დაწესებულებას, იმ შემთხვევაში თუ ფაქტების შესწავლის საფუძველზე გამოიტანს დასკვნას დაინტერესებული პირის საჩივრის მხარდაჭერის შესახებ.<sup>41</sup>

როგორც ირკვევა, ინფორმაციის კომისიონერის მიერ საჯარო დაწესებულებებისათვის რეკომენდაციების გაწევა შეიძლება წარმოადგენდეს, როგორც დაინტერესებული პირის მიერ მისთვის საჩივრით მიმართვის შედეგს,<sup>42</sup> აგრეთვე ინფორმაციის კომისიონერის ინიციატივის ან სხვა საფუძველების შედეგს. ამგვარ „სხვა“ საფუძველებად, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის

<sup>39</sup> შოტლანდიის ინფორმაციის თავისუფლების აქტი. მუხ. 44. ხელმისაწვდომია:

<http://www.legislation.gov.uk/asp/2002/13/part/3>

<sup>40</sup> იხ. ზემოთ. სქოლიო 15. „საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონი. მუხლები 17, 32 და 35.

<sup>41</sup> ინფორმაცია ამოღებულია, 2013 წლის 7 თებერვალს. ბმულიდან: <http://www.oic-ci.gc.ca/eng/ab-ans-what-we-do-ce-que-nous-faisons.aspx>

<sup>42</sup> მაგალითად უნგრეთის პრაქტიკა, სადაც უფლებადარღვეულ ინფორმაციის მომთხოვნ პირს გაააჩნია ალტერნატივა - მხოლოდ გადაწყვეტილების მოსაპოვებლად მიმართოს სასამართლოს, ან საჩივრით მიმართოს საჯარო ინფორმაციის ომბუდსმენს რეკომენდაციის მოსაპოვებლად (The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank (2009). Laura Neuman. *Access to Information Working Paper Series: Enforcement Models – Content and Context*. გვ. 6).

სამეფოს ინფორმაციის კომისიონერის ოფისი მიიჩნევს მაგალითად მედიის, ინტერნეტის და სოციალური მედიის (მ.შ. ინფორმაციის თავისუფლების თემისადმი მიძღვნილი ბლოგების) მეშვეობით გავრცელებული საყურადღებო საკითხებს, პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროს და ადმინისტრაციული სამართლის ტრიბუნალის მიერ წარმოჩენილ პრობლემატიკას და ა.შ.<sup>43</sup>

საჯარო ინფორმაციის კომისიონერის რეკომენდაციის გაწევის ფუნქციის დადებით მხარედ აღიქმება მომჩივან მხარეთათვის ზედმეტი ფორმალიზმის არარსებობა - შესაბამისად, ამ ფუნქციით სარგებლობის ხელმისაწვდომობა, და ამავე დროს, პროცესის სისწრაფე. მბოჭავი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების საწინააღმდეგო - რეკომენდაციების გაწევის „რბილი“ მოდელი, მიჩნეულია, როგორც რეკომენდატორსა და შემსრულებელს შორის ნაკლებად დამაბული ურთიერთობის წინაპირობა, რომელიც ხაზს უსვამს პრობლემატური საკითხის დარწმუნებისა და დიალოგის ძალით გადაწყვეტას. აღნიშნული თეორიაში შეიძლება აისახოს საჯარო დაწესებულებათა მხრიდან ინფორმაციის თავისუფლების ნორმათა დაცვის უფრო მაღალ ხარისხში, თუმცა „მბოჭავი“ ელემენტის გარეშე კომისიონერის რეკომენდაციების შესრულება საჯარო დაწესებულებათა მხრიდან მაინც საორჭოფო საკითხს წარმოადგენს.<sup>44</sup>

<sup>43</sup> იხ. ზემოთ. სქოლიო 38. Information Commissioner’s Office (2010, V.3.0). *Freedom of Information Regulatory Action Policy*. გვ. 6-7.

<sup>44</sup> The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank (2009). Laura Neuman. *Access to Information Working Paper Series: Enforcement Models – Content and Context*. გვ. 8-9.

## ცნობიერების ამაღლების ფუნქცია

ინფორმაციის თავისუფლების სფეროში კომისიონერის სხვა ფუნქციებისაგან აღსანიშნავია საგანმანათლებლო, იგივე ცნობიერების ამაღლების ფუნქცია.

სერბეთის რესპუბლიკის მაგალითზე, ხსენებული ფუნქციის ადრესატი ორ ტიპად შეგვიძლია დავყოთ - საჯარო მოხელეები და საზოგადოება ზოგადად. სერბეთის ინფორმაციის კომისიონერის კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრული ერთ-ერთი ფუნქციაა: „სახელმწიფო ორგანოთა მოხელეების ტრენინგებისათვის საჭირო ზომების გატარება და საჯარო მოხელეთა ინფორმირება იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც მათ ეკისრებათ საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე წვდომის უფლებასთან მიმართებაში.“<sup>45</sup> ამასთან, კომისიონერი დაუყოვნებლივ აქვეყნებს და აახლებს საჯარო ინფორმაციის მიღების უფლების გზამკვლევს, რომლის შინაარსის საზოგადოებისათვის გაცნობის ვალდებულებაც კომისიონერს ევალება ელექტრონული მედიის, პრესის, ინტერნეტის, საჯარო განხილვების და სხვა გზით.<sup>46</sup>

ირლანდიაში ინფორმაციის თავისუფლების სფეროში ზოგადი ცნობიერების ამაღლების რეგულირება მინდობილი აქვს მინისტრს,<sup>47</sup> თუმცა კომისიონერის უფლებამოსილებას წარმოადგენს ინფორმაციის თავისუფლების აქტის დებულებების პრაქტიკული გამოყენების შესახებ კომენტარების მომზადება და გამოქვეყნება, მ.შ.

<sup>45</sup> იხ. ზემოთ. სქოლიო 15. „საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონი. მუხლი 35 (4).

<sup>46</sup> იქვე. მუხ. 37.

<sup>47</sup> ირლანდიის რესპუბლიკის 1997 და 2003 წლის ინფორმაციის თავისუფლების აქტები, მუხ. 15 (ფინანსთა მინისტრი). მაგვარ სიტუაციას ვაწყდებით სლოვენიაშიც - 2005 წლის სლოვენის რესპუბლიკის საჯარო ინფორმაციაზე წვდომის აქტი, მუხ. 32 (სლოვენის საჯარო ადმინისტრაციის სამინისტრო). ამასთან, დიდ ბრიტანეთში, საჯარო დაწესებულებათა მიერ ინფორმაციის გაცემის პრაქტიკის წესთა კრებულს გამოსცემს მინისტრი - 2010 წლის ინფორმაციის თავისუფლების აქტი. მუხ. 45.

კომისიონერის თანამდებობის შესრულებისას მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კომენტარების შემუშავება.<sup>48</sup>

ავსტრალიის კანონმდებლობა გამოირჩევა იმით, რომ ავსტრალიის ინფორმაციის კომისიონერის საქმიანობა მოწესრიგებულია არა ინფორმაციის თავისუფლების აქტით, არამედ განცალკევებული - ინფორმაციის კომისიონერის შესახებ 2010 წლის აქტით. ხსენებული აქტის მე-8 მუხლის თანახმად, კომისიონერის ერთ-ერთი ფუნქციაა: *ინფორმაციის თავისუფლების აქტის მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებში ინფორმაციით, რჩევით, დახმარებითა და ტრენინგებით ნებისმიერი პირისა თუ სააგენტოს უზრუნველყოფა.*<sup>49</sup> ამავე მუხლით განსაზღვრული კომისიონერის ფუნქციებიდან აგრეთვე აღსანიშნავია, *ინფორმაციის თავისუფლების აქტის შესახებ ცნობიერებისა და გაგების ამაღლება, ინფორმაციის თავისუფლების სფეროში შესაბამისი გაიდლაინების შემუშავება და ინფორმაციის თავისუფლების აქტზე საკანონმდებლო ცვლილებების შეთავაზების თაობაზე მინისტრისათვის ანგარიშებისა და რეკომენდაციების მიწოდება.*<sup>50</sup>

როგორც ირკვევა, იმ სახელმწიფოების ნაწილი, სადაც მოქმედებს საჯარო ინფორმაციის კომისიონერი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კომისიონერის მიერ ინფორმაციის თავისუფლების სფეროში საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების შესაძლებლობას. აღნიშნული აისახება ცნობიერების ამაღლების ფუნქციაში - იქნება ეს ინფორმაციის ღიაობის საკითხში საჯარო მოხელეთა და უბრალო მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება, თუ ინფორმაციის თავისუფლების სფეროს მარეგულირებელ ნორმათა თაობაზე მოსაზრებების ჩამოყალიბება.

<sup>48</sup> ირლანდიის რესპუბლიკის 1997 და 2003 წლის ინფორმაციის თავისუფლების აქტები, მუხ. 39. აღსანიშნავია, აგრეთვე შვეიცარიის კომისიონერის როლი კომენტარების პრაქტიკასთან მიმართებაში: შვეიცარიის ინფორმაციის თავისუფლების აქტის მე-18 მუხლი კომისიონერის ერთ-ერთ ფუნქციად პირდაპირ განსაზღვრავს „კომენტარება კანონპროექტებზე და ფედერალური მთავრობის ზომებზე, რომლებსაც ინფორმაციის თავისუფლების პრინციპზე ფუნდამენტური გავლენა გააჩნიათ.“

ხელმისაწვდომია: <http://www.rti-rating.org/pdf/Switzerland.pdf>

<sup>49</sup> 2010 წლის აქტი „ინფორმაციის კომისიონერის შესახებ.“ მუხ. 8 (d). ხელმისაწვდომია: <http://www.comlaw.gov.au/Details/C2012C00126>

<sup>50</sup> ზემოთ. მუხ. 8 (a), (e) და (f)(i).



## დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება

ინფორმაციის კომისიონერის დამოუკიდებლობის ხარისხს განსაზღვრავს ისეთი ფაქტორების ერთობლიობა, როგორებიცაა: კომისიონერის არჩევის წესი; უფლებამოსილების ვადა და კომისიონერის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურები; ხელისუფლების შტო, რომლისგანაც კომისიონერი იღებს უფლებამოსილებებს; ორგანო, რომლის მიმართაც ანგარიშვალდებულია კომისიონერი და საბიუჯეტო ავტონომია.<sup>51</sup> უპრიანად მიგვაჩნია მოვახდინოთ რიგი ხსენებული ფაქტორების ილუსტრირება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საჯარო ინფორმაციის კომისიონერთან მიმართებაში.

მსოფლიო პრაქტიკა ცხადჰყოფს, რომ ინფორმაციის კომისიონერი, როგორც წესი, ანგარიშვალდებულება საკანონმდებლო ორგანოს მიმართ.<sup>52</sup> აღნიშნული ძირითადად ასახვას ჰპოვებს კომისიონერის საქმიანობის შესახებ (ყოველწლიური) ანგარიშების პარლამენტისადმი წარდგენაში. მაგალითად - შოტლანდია, ირლანდია, სერბეთი და შვეიცარია წარმოადგენენ იმ სახელმწიფოებს, რომელთა ინფორმაციის კომისიონერები პირდაპირ წარუდგენენ პარლამენტს საკუთარი საქმიანობის ანგარიშებს. კომისიონერის ანგარიშვალდებულების განსხვავებულ მიდგომას ვაწყდებით ავსტრალიაში, სადაც ინფორმაციის კომისიონერის ოფისის წლიური საქმიანობის შესახებ ანგარიში მიეწოდება შესაბამის მინისტრს, და უკვე შემდგომ, იგი ანგარიშის ასლს წარუდგენს ავსტრალიის პარლამენტის თითოეულ პალატას.<sup>53</sup>

საკანონმდებლო ორგანოსადმი ანგარიშვალდებულების მაგალითს, საქმიანობის ანგარიშების მიწოდების გარდა, აგრეთვე წარმოადგენს ფინანსური ანგარიშების მიწოდების პრაქტიკაც. მაგალითად, შოტლანდიისა და სერბეთის

<sup>51</sup> The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank (2009). Laura Neuman. *Access to Information Working Paper Series: Enforcement Models – Content and Context*. გვ. 25.

<sup>52</sup> მაგ., დიდი ბრიტანეთისა და კანადის საჯარო ინფორმაციის კომისიონერები, რომელთაც გააჩნიათ პირდაპირი ანგარიშვალდებულება საკუთარი სახელმწიფოების პარლამენტების მიმართ.

<sup>53</sup> 2010 წლის აქტი „ინფორმაციის კომისიონერის შესახებ.“ მუხ. 30. ხელმისაწვდომია:

<http://www.comlaw.gov.au/Details/C2012C00126>

ინფორმაციის კომისიონერები საქმიანობის წლიურ ანგარიშებთან ერთად პარლამენტს აგრეთვე წარუდგენენ ფინანსურ ანგარიშებსაც.<sup>54</sup> ამასთან, შვეიცარიის ინფორმაციის კომისიონერი ვალდებულია რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაციის თავისუფლების აქტის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული ხარჯების ანგარიში ფედერალურ საბჭოს.<sup>55</sup>

როგორც ირკვევა, საკანონმდებლო ორგანოსადმი ძალზედ მჭიდრო ანგარიშების მაგალითს სერბეთის რესპუბლიკა იძლევა, რაც აისახება იმ მნიშვნელოვან პრაქტიკაში, რა დროსაც სერბეთის ინფორმაციის კომისიონერი სხვა ანგარიშებთან ერთად ეროვნულ ასამბლეას აწვდის სერბეთის რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებათა საქმიანობის წლიური ანგარიშს, გარდა ამისა, კანონმდებლობა კომისიონერს ანიჭებს უფლებამოსილებას საკუთარი შეხედულებისამებრ მიაწოდოს სხვა სახის ანგარიშებიც ეროვნულ ასამბლეას.<sup>56</sup> პრაქტიკაში, აგრეთვე, გვხვდება მექანიზმი, რა შემთხვევაშიც ინფორმაციის კომისიონერის როლი საერთოდ ამოვარდნილია საჯარო დაწესებულებათა მიერ ინფორმაციის თავისუფლების სფეროში საქმიანობის ანგარიშის მიწოდების პროცესთან მიმართებაში. კერძოდ, სლოვენიაში, საჯარო დაწესებულებები ხსენებულ ყოველწლიურ ანგარიშს აწვდიან საჯარო ადმინისტრირების სამინისტროს, უკვე შემდგომ, მოწოდებული ანგარიშების საფუძველზე მთავრობა შეადგენს ერთიან ანგარიშს, რომელსაც გასაცნობად გადასცემს სლოვენიის რესპუბლიკის ეროვნულ ასამბლეას.<sup>57</sup>

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე, საკანონმდებლო ორგანოს როლი აგრეთვე იკვეთება ინფორმაციის კომისიონერის თანამდებობაზე გამწესებასა და თანამდებობიდან გათავისუფლებასთან მიმართებაში.

<sup>54</sup> შოტლანდიის კომისიონერი ფინანსურ ანგარიშს დამატებით გენერალურ აუდიტორსაც წარუდგენს.

<sup>55</sup> „საჯარო ადმინისტრაციაში ინფორმაციის თავისუფლების პრინციპის შესახებ“ ფედერალური აქტი. მუხლი 19. ხელმისაწვდომია: <http://www.rti-rating.org/pdf/Switzerland.pdf>

<sup>56</sup> იხ. ზემოთ. სქოლიო 15. „საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონი. მუხლი 36.

<sup>57</sup> იხ. ზემოთ. სქოლიო 32. საჯარო ინფორმაციაზე წვდომის აქტი. მუხ. 37.

თვალში საცემია კომისიონერის თანამდებობაზე გამწესების ორი გამოკვეთილი ძირითადი ფორმა - აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დანიშვნა და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ არჩევა.

პირველ ფორმას ვაწყდებით ირლანდიის მაგალითზე, სადაც ინფორმაციის კომისიონერს თანამდებობაზე ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი მთავრობის რჩევით, თუმცა აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენს თანამდებობაზე წარსადგენ პირზე პარლამენტის სარეკომენდაციო რეზოლუცია.<sup>58</sup> იგივე ფორმის ჭრილში შესაძლებელია განვიხილოთ კანადის (ნიშნავს გუბერნატორი), შოტლანდიის (ნიშნავს დედოფალი), დიდი ბრიტანეთის (ნიშნავს დედოფალი) და ავსტრალიის (ნიშნავს გენერალ-გუბერნატორი) შესაბამისი პრაქტიკაც, სადაც აგრეთვე იკვეთება საკანონმდებლო ორგანოს დომინანტი როლი კომისიონერის თანამდებობაზე წარდგენაში, ანუ ნომინირებაში.<sup>59</sup>

ინფორმაციის კომისიონერის საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ თანამდებობაზე გამწესების ფორმის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სერბეთის რესპუბლიკა. ამ ქვეყანაში ინფორმაციის კომისიონერი ინიშნება ეროვნული ასამბლეის მიერ, პარლამენტის წევრთა ხმათა უმრავლესობით.<sup>60</sup> საილუსტრაციო მაგალითად აგრეთვე გამოდგება უნგრეთის პრაქტიკაც, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლების ყველანაირი როლის გარეშე, კომისიონერი აირჩევა უშუალოდ პარლამენტის მიერ.<sup>61</sup> აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, კომისიონერის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის მიერ დანიშვნისას, კანდიდატურის პრეზიდენტის მიერ შეთავაზების მაგალითს ვაწყდებით სლოვენის შემთხვევაში.<sup>62</sup> ხოლო, გერმანიის

<sup>58</sup> იხ. ზემოთ. სქოლიო 7. ინფორმაციის თავისუფლების აქტი. მუხ. 33.

<sup>59</sup> მაგალითად, ინფორმაციის კომისიონერს შოტლანდიაში თანამდებობაზე წარადგენს შოტლანდიის პარლამენტი, კანადაში ინფორმაციის კომისიონერის თანამდებობაზე წარდგენის საფუძველს წარმოადგენს თითოეულ აღიარებულ პოლიტიკურ პარტიის ლიდერთან კონსულტაცია და სენატისა და თემთა პალატის შესაბამისი რეზოლუცია და ა.შ.

<sup>60</sup> იხ. ზემოთ. სქოლიო 15. „საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონი. მუხ. 30.

<sup>61</sup> „პერსონალური მონაცემების დაცვისა და საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციაზე საჯარო წვდომის შესახებ“ 1992 წლის აქტი. მუხ. 23. ხელმისაწვდომია: <http://www.rti-rating.org/pdf/Hungary.pdf>

<sup>62</sup> იხ. ზემოთ. სქოლიო 32. საჯარო ინფორმაციაზე წვდომის აქტი. მუხ. 28 (2).

ფედერაციულ რესპუბლიკაში, ბუნდესტაგი ირჩევს კომისიონერს ფედერალური მთავრობის მიერ კანდიდატურის შეთავაზების საფუძველზე.<sup>63</sup>

რაც შეეხება ზოგადად პარლამენტის როლს ინფორმაციის კომისიონერის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან მიმართებაში, ამ შემთხვევაშიც ხსენებული როლი საგრძნობია. მაგალითად, სერბეთის რესპუბლიკაში, გარკვეული საფუძვლების არსებობისას,<sup>64</sup> ინფორმაციის კომისიონერის თანამდებობიდან გათავისუფლებისათვის საჭიროა პარლამენტის წევრთა 1/3-ის ინიციატივა და შემდგომ, ეროვნული ასამბლეის გადაწყვეტილება. სრულად ანალოგიურ მექანიზმს ვაწყდებით სლოვენის რესპუბლიკაშიც.<sup>65</sup>

იმ სახელმწიფოებშიც კი, სადაც კომისიონერის თანამდებობაზე გამწესებას ფორმალურად აღმასრულებლები ახორციელებენ, მისი თანამდებობიდან გათავისუფლება არ წარმოადგენს ერთპიროვნულ გადაწყვეტილების საგანს,<sup>66</sup> არამედ საჭიროებს საკანონმდებლო ორგანოს მონაწილეობას. მაგალითად, შოტლანდიაში, მართალია ფორმალურად კომისიონერს თანამდებობიდან დედოფალი ათავისუფლებს, თუმცა აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენს პარლამენტის წევრთა ხმათა 2/3,<sup>67</sup> ხოლო კანადაში ინფორმაციის კომისიონერი დაკავებული თანამდებობიდან გუბერნატორმა შეიძლება გაათავისუფლოს შესაბამისი საფუძვლების არსებობისას ნებისმიერ დროს, თუმცა აღნიშნული საჭიროებს სენატსა და თემთა პალატისათვის მიმართვას.<sup>68</sup>

<sup>63</sup> მონაცემთა დაცვის ფედერალური აქტი (Bundesdatenschutzgesetz, BDSG). მუხ. 22 (1).

ხელმისაწვდომია: <http://www.iuscomp.org/gla/statutes/BDSG.htm>

<sup>64</sup> ამგვარ საფუძველს „საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის 31-ე მუხლის თანახმად წარმოადგენს, მაგალითად კომისიონერის მუდმივი შრომისუვნარობა, სერბეთის მოქალაქეობის დაკარგვა, თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა, არაპროფესიონალურად მოვალეობათა შესრულება და ა.შ.

<sup>65</sup> სქოლიო 32. საჯარო ინფორმაციაზე წვდომის აქტი. მუხ. 29.

<sup>66</sup> გამონაკლისია ავსტრალია, სადაც გენერალ-გუბერნატორი დაკავებული თანამდებობიდან ათავისუფლებს ინფორმაციის კომისიონერს რიგი საფუძვლების არსებობისას. ამ საფუძვლებიდან ძალზედ საინტერესოა ერთ-ერთი - კომისიონერის გადახდისუვნარობა კრედიტორების მიმართ. იხ. ზემოთ. სქოლიო 53. „ინფორმაციის კომისიონერის შესახებ“ აქტი. მუხ. 20.

<sup>67</sup> იხ. ზემოთ. სქოლიო 39. შოტლანდიის ინფორმაციის თავისუფლების აქტი. მუხ. 42 (4).

<sup>68</sup> ინფორმაციაზე წვდომის აქტი. მუხ. 54 (2). ხელმისაწვდომია: <http://www.rti-rating.org/pdf/Canada.pdf>

ინფორმაციის კომისიონერის დამოუკიდებლობის ხარისხის განსაზღვრის ერთ-ერთ ფაქტორად დასახელებულია აგრეთვე მისი უფლებამოსილების ვადა. არსებობს წარმოდგენა, რომ თუ კომისიონერის უფლებამოსილების ვადა ძალზედ ხანმოკლე იქნება, იარსებებს რისკი, რომ საკუთარ ვალდებულებებზე ფოკუსირებაზე უფრო მეტად, ადგილი ექნება მისი მხრიდან იმ პირების გულის მოგების დაინტერესებას, რომლებიც პასუხისმგებელი არიან თანამდებობაზე მის შემდგომ დანიშვნაზე. ამასთან, თუ კომისიონერის უფლებამოსილების ვადა ძალზედ ხანგრძლივი იქნება, იარსებებს რისკი, რომ იგი ნაკლებად მგრძობიარე გახდება ღიაობის ცვალებად ტენდენციებისა და დაინტერესებულ პირთა საჭიროებების მიმართ.<sup>69</sup> ხსენებულ წარმოდგენას ნაწილობრივ ვეთანხმები, თუმცა კომისიონერის დამოუკიდებლობის ხარისხის უფრო მნიშვნელოვან ფაქტორად მიმაჩნია მისი უფლებამოსილების ვადის მიმართება ხელისუფლების სხვა შტოების ორგანოთა კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლებამოსილების ვადებთან. გარდა ამისა, უპრიანად მიგვაჩნია, აგრეთვე მოვიყვანოთ მოსაზრება, რომ საჯარო ინფორმაციის გაცნობის უფლებასთან მუშაობა საჭიროებს თემატურ სპეციალიზაციას, რომლის შექმნაზეც გარკვეული დრო მიდის. ამიტომ კომისიონერის უფლებამოსილების შედარებით ხანგრძლივი ვადა აგრეთვე ემსახურება კომისიონერის ფუნქციების აღსრულების ეფექტურობას.<sup>70</sup>

როგორც წესი, ინფორმაციის კომისიონერის უფლებამოსილების ვადა მერყეობს ხუთიდან შვიდ წლამდე - მაგალითად ავსტრალიასა<sup>71</sup> და შოტლანდიაში კომისიონერის უფლებამოსილების ვადა შეადგენს არაუმეტეს 5 წელიწადს (შოტლანდიაში შემდგომი 5 წლით თანამდებობის განახლების შესაძლებლობით, მესამე ვადა გათვალისწინებულია განსაკუთრებულ გარემოებებში),<sup>72</sup> 5 წლიანი

<sup>69</sup> The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank (2009). Laura Neuman. *Access to Information Working Paper Series: Enforcement Models – Content and Context*. გვ. 26.

<sup>70</sup> იხ. ზემოთ. იქვე.

<sup>71</sup> იხ. ზემოთ. სქოლიო 53. „ინფორმაციის კომისიონერის შესახებ“ აქტი. მუხ. 15.

<sup>72</sup> იხ. ზემოთ. სქოლიო 39. შოტლანდიის ინფორმაციის თავისუფლების აქტი. მუხ. 42.

უფლებამოსილების ვადა აგრეთვე გათვალისწინებულია სლოვენის რესპუბლიკის<sup>73</sup> და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობებითაც<sup>74</sup> (ერთგზის გადარჩევის შესაძლებლობით), სერბეთსა და კანადაში კომისიონერის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 7 წელიწადს (შემდგომი 7 წლით თანამდებობის განახლების შესაძლებლობით)<sup>75</sup> და ა.შ.

### უფლებამოსილების ვადა

შოტლანდია <sup>76</sup>	<p>პარლამენტი - 4 წელი</p> <p>პირველი მინისტრი - განუსაზღვრელი/მისი უდიდებულესობა დედოფლის ნებასურვილი</p>	ინფორმაციის კომისიონერი - 5 წელი
კანადა <sup>77</sup>	<p>სენატი - განუსაზღვრელი (სენატორები 75 წლის ასაკის მიღწევამდე)</p> <p>თემთა პალატა - 5 წელი</p> <p>პრემიერ მინისტრი - განუსაზღვრელი/მისი უდიდებულესობა დედოფლის ნებასურვილი</p>	ინფორმაციის კომისიონერი - 7 წელი

<sup>73</sup> იხ. ზემოთ. სქოლიო 32. საჯარო ინფორმაციაზე წვდომის აქტი. მუხ.28.

<sup>74</sup> იხ. ზემოთ. სქოლიო 63. მონაცემთა დაცვის ფედერალური აქტი (Bundesdatenschutzgesetz, BDSG). მუხ. 22 (3).

<sup>75</sup> იხ. ზემოთ. სქოლიო 68. იქვე.

<sup>76</sup> 1998 წლის შოტლანდიის აქტი. მუხლები 2 და 45. ხელმისაწვდომია:

<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1998/46>

<sup>77</sup> კონსტიტუციის აქტები 1867 და 1982. მუხლები 29 და 50. ხელმისაწვდომია: <http://laws-lois.justice.gc.ca/eng/Const/page-2.html#h-5>

	<p><b>გენერალ-გუბერნატორი</b></p> <p>განუსაზღვრელი/მისი უდიდებულესობა დედოფლის ნებასურვილი</p>	
<p><b>დიდი ბრიტანეთი<sup>78</sup></b></p>	<p><b>პარლამენტი - 5 წელი</b></p> <p><b>პრემიერ მინისტრი - მისი</b> უდიდებულესობა დედოფლის ნებასურვილი/ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ზოგადი არჩევნებით</p>	<p><b>ინფორმაციის კომისიონერი - 5 წელი</b></p>
<p><b>ავსტრალია<sup>79</sup></b></p>	<p><b>სენატი - 6 წელი</b></p> <p><b>წარმომადგენელთა პალატა - 3 წელი</b></p> <p><b>გენერალ-გუბერნატორი</b></p> <p>განუსაზღვრელი/მისი უდიდებულესობა დედოფლის ნებასურვილი</p> <p><b>პრემიერ მინისტრი -</b> განუსაზღვრელი/მისი უდიდებულესობა დედოფლის ნებასურვილი</p>	<p><b>ინფორმაციის კომისიონერი - 5 წელი</b></p>
<p><b>გერმანია<sup>80</sup></b></p>	<p><b>ბუნდესტაგი - 4 წელი</b></p> <p><b>ბუნდესრატი - დადგენილი არ არის</b></p>	<p><b>ინფორმაციის კომისიონერი - 5 წელი</b></p>

<sup>78</sup> 2011 წლის პარლამენტთა დადგენილი ვადების აქტი. ხელმისაწვდომია: <http://www.legislation.gov.uk/ukpga/2011/14/section/1/enacted> და 1998 წლის მონაცემთა დაცვის აქტი. დანართი 5. ხელმისაწვდომია: <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1998/29/schedule/5>

<sup>79</sup> ავსტრალიის თანამეგობრობის კონსტიტუციის აქტი. თავი I, მუხლი 2, თავი II, მუხლი 7, და თავი III, მუხლი 28. ხელმისაწვდომია: <http://www.comlaw.gov.au/Details/C2004C00469/Html/Text#param10>

<sup>80</sup> გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი. მუხლები 39, 54 და 69. ხელმისაწვდომია: <http://www.iuscomp.org/gla/>

<p>სერბეთი<sup>81</sup></p>	<p>ფედერალური პრეზიდენტი - 5 წელი</p> <p>ფედერალური კანცლერი და ფედერალური მინისტრები - მომდევნო ბუნდესტაგის ახალ შეკრებამდე</p> <p>ეროვნული ასამბლეა - 4 წელი</p> <p>რესპუბლიკის პრეზიდენტი - 5 წელი</p> <p>მთავრობა - ეროვნული ასამბლეის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე</p>	<p>ინფორმაციის კომისიონერი - 7 წელი</p>
<p>სლოვენია<sup>82</sup></p>	<p>ეროვნული ასამბლეა - 4 წელი</p> <p>ეროვნული საბჭო - 5 წელი</p> <p>რესპუბლიკის პრეზიდენტი - 5 წელი</p> <p>მთავრობა - მომდევნო ეროვნული ასამბლეის შეკრებამდე</p>	<p>ინფორმაციის კომისიონერი - 5 წელი</p>

როგორც ირკვევა, ინფორმაციის კომისიონერის ავტონომიური და დამოუკიდებელი ორგანოს სტატუსის ფონზე, წინა პლანზე გამოდის საკანონმდებლო ორგანოს შესამჩნევი როლი მისი თანამდებობაზე გამწესების, თანამდებობიდან გათავისუფლების და ანგარიშვალდებულების საკითხებში. აღნიშნული კიდეც ერთხელ უსვამს ხაზს ინფორმაციის კომისიონერის თვისობრივ სიახლოვეს ისეთ ორგანოსთან, როგორც არის სახალხო დამცველი ანუ ომბუდსმენი.

<sup>81</sup> სერბეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია. მუხლები 102, 116, და 128. ხელმისაწვდომია: [http://www.srbija.gov.rs/cinjenice\\_o\\_srbiji/ustav.php?change\\_lang=en](http://www.srbija.gov.rs/cinjenice_o_srbiji/ustav.php?change_lang=en)

<sup>82</sup> სლოვენის რესპუბლიკის კონსტიტუცია. მუხლები 81, 98, 103 და 115. ხელმისაწვდომია: [http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file\\_id=180804](http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file_id=180804)



## რეკომენდაციები

როგორც ზემოთ მოყვანილმა კვლევამ ცხადყო, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ინფორმაციის კომისიონერი ძალზედ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინფორმაციის თავისუფლების სფეროს რეგულირების საკითხში. თითოეულ სახელმწიფოში, რომელშიც სახეზეა ინფორმაციის კომისიონერის თანამდებობა, აღნიშნული როლი უმეტესწილად განპირობებულია ამ თანამდებობის ინდივიდუალური ფუნქციონალური მახასიათებლების ერთობლიობით.

შეგნებულად არ განვიხილეთ ინფორმაციის კომისიონერის მიერ პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროს ზედამხედველობის ფუნქციის თავისებურებანი. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისათვის აღნიშნული საკითხი სიახლეს აღარ წარმოადგენს - 2011 წელს მიღებული შესაბამისი კანონით<sup>83</sup> შემოღებულ იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობა, რომელსაც დაეკისრა პასუხისმგებლობა მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულების ზედამხედველობაზე. შესაბამისად, წინამდებარე კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე ინფორმაციის თავისუფლების, იგივე საჯარო ინფორმაციის დიაღობის კუთხით ინფორმაციის კომისიონერის როლის განსაზღვრა.

ჩვენს მიერ მოყვანილი კვლევის დამატებით მიზნად შესაძლებელია განხილულ იქნეს კომისიონერის რიგ სასარგებლო ფუნქციათა შერწყმის პერსპექტივა საქართველოს რეალობაში. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დიდად წაადგება ჩვენი ქვეყნის ინფორმაციის თავისუფლების სფეროს გაძლიერებას.

იმ შემთხვევაში, თუ დღის წესრიგში დადგება ინფორმაციის კომისიონერის თანამდებობის ან მის ცალკეულ ფუნქციათა საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის საკითხი, შესაძლებელია შემოთავაზებულ იქნეს რეგულირების რამდენიმე მოდელი. აღნიშნული აუცილებლად საჭიროებს მსოფლიოს ქვეყნების საუკეთესო

<sup>83</sup> საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.“ მუხ. 2., პუნქტი ტ).

პრაქტიკის არა ბრმა კოპირებას, არამედ საქართველოს საკანონმდებლო სისტემის, სახელმწიფოს სოციალურ-კულტურული და პრაქტიკული თავისებურებების გათვალისწინებით საჭირო ნორმათა კანონმდებლობაში ჰარმონიულ შერწყმას.

ჩვენის აზრით, საქართველოს რეალობისათვის ყველაზე შესაფერის წარმოადგენს ზემოთ ხსენებული მოდელებიდან ორი:

- 1) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობის ანალოგიურად, შემოღებულ იქნება საჯარო ინფორმაციის კომისიონერის ინსტიტუტი (შესაბამისი აპარატიურთ).
- 2) ინფორმაციის კომისიონერის ფუნქციებს ითავსებს საქართველოს სახალხო დამცველი;

სანამ უშუალოდ ამ მოდელების თავისებურებების მოკლე მიმოხილვას შემოგთავაზებდეთ, საქართველოს საკანონმდებლო რეალობისათვის რეკომენდაციების სახით წარმოგიდგინთ იმ საერთო ნიშან-თვისებებს, რომლებიც ინფორმაციის თავისუფლების სფეროს ზედამხედველ ორგანოს შეიძლება გააჩნდეს, მიუხედავად იმისა, ამ უფლებამოსილებას განახორციელებს ომბუდსმენი თუ ინფორმაციის კომისიონერი<sup>84</sup>:

- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში, რაც გულისხმობს, რომ იგი არ დაექვემდებარება არც ერთ სხვა თანამდებობის პირს და ორგანოს და იხელმძღვანელებს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით,

<sup>84</sup> წინამდებარე თავში მოყვანილი რეკომენდაციები ერთის მხრივ ემყარება ამავე კვლევაში მოყვანილ საერთაშორისო შედარებით ანალიზს, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის შესაბამის კანონმდებლობით განსაზღვრულ თანამდებობრივ ასპექტებს.

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, შესაბამისი კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით;

- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს თანამდებობა შეუთავსებელი უნდა იყოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წევრობასთან, სახელმწიფო სამსახურში ნებისმიერ თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და სახელოვნებო მოღვაწეობისა. არ შეიძლება შესაბამისი თანამდებობის პირი იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანო სასურველია თავის უფლებებს ახორციელებდეს და მოვალეობებს ასრულებდეს შესაბამისი აპარატის დახმარებით;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს სასურველია 5 წლის ვადით ირჩევდეს საქართველოს პარლამენტი;
- სასურველია, რომ ერთი და იგივე პირი ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო თანამდებობაზე აირჩეოდეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ;
- სასურველია, რომ კანონმდებლობაში დეტალებში გაწერილ იქნას საფუძვლები (ნებაყოფლობით გადადგომა, გარდაცვალება, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა, სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობა და ა.შ.), რა შემთხვევაშიც ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილება შეუწყდება საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს სასურველია გააჩნდეს იმუნიტეტი, რაც გულისხმობს რომ იგი იქნება ხელშეუხებელი. დაუშვებელი იქნება მისი სისხლის სამართლის

პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე. გამონაკლისი უნდა იყოს დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს პარლამენტს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული შესაბამისი თანამდებობის პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს;

- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, უფლებამოსილების განხორციელების დროს. ეს უფლება მას უნდა შეუნარჩუნდეს უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანო პასუხისგებაში არ უნდა მიეცეს თავისი მოვალეობის შესრულებისას გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის;
- საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება არ უნდა წყვეტდეს ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს საქმიანობას და არ უნდა ზღუდავდეს მის უფლებამოსილებას;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანო უნდა იყოს უზრუნველყოფილი თავისი ფუნქციების შესრულებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსებით;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს აპარატი უნდა ფინანსდებოდეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იმ ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს მისი ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას;
- სასურველია ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს ეძლეოდეს თანამდებობრივი სარგო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანო ადმინისტრაციულ ორგანოებში საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე მისი ასლების მიღების უფლების დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით ზედამხედველობას უნდა უწევდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ამ უფლების დაცვასა და პატივისცემას, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა თუ სხვა გარემოებისა;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანო სასურველია დამოუკიდებლად ამოწმებდეს ადმინისტრაციულ ორგანოებში საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე მისი ასლების მიღების უფლების დაცვის მდგომარეობას, საჯარო ინფორმაციის პროქტიული გამოქვეყნების შეუსრულებლობის, ასევე მათი დარღვევის ფაქტებს, როგორც მიღებული განცხადების საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანო სასურველია დამოუკიდებლად ამოწმებდეს ადმინისტრაციულ ორგანოებში საჯარო ინფორმაციის გაცნობის, მისი ასლების მიღების უფლების დაცვის მდგომარეობას, ასევე მათი დარღვევის ფაქტებს, საჯარო ინფორმაციის პროქტიული გამოქვეყნების შეუსრულებლობის, როგორც მიღებული განცხადების საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით;

- სასურველია, ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოში ხსენებული განცხადება და საჩივარი არ იბეგრებოდეს სახელმწიფო გადასახადით, აგრეთვე ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს მიერ დაინტერესებული პირისათვის გაწეული სამსახური იყოს უფასო;
- სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო დაწესებულება, თანამდებობის პირი, რომელიც მიიღებს ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს რეკომენდაციებს ან წინადადებებს, ვალდებული იქნება განიხილოს ისინი და 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს მათი განხილვის შედეგები;
- ზემოთ ხსენებული დადგენილი მოვალეობების შეუსრულებლობა, აგრეთვე ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს საქმიანობისთვის ნებისმიერი ფორმით დაბრკოლების შექმნა უნდა ისჯებოდეს კანონით და აისახებოდეს ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს ანგარიშში და გახდეს საქართველოს პარლამენტის განსაკუთრებული მსჯელობის საგანი;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანო უნდა ავლენდეს ადმინისტრაციულ ორგანოებში საჯარო ინფორმაციის გაცნობის, მისი ასლების მიღების უფლების, ისევე როგორც საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულების დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობდეს დარღვეული უფლებების აღდგენას;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს ერთ-ერთ ფუნქციას, სასურველია, წარმოადგენდეს საგანმანათლებლო საქმიანობა ინფორმაციის თავისუფლების სფეროში. აღნიშნული შეიძლება აგრეთვე

აისახოს სახელმწიფო ორგანოთა მოხელეების შესაბამის ტრენინგებში, საჯარო ინფორმაციის უფლების გზამკვლევის მიღებასა და განახლებაში და ა.შ.

- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანო სასურველია ვალდებული იყოს. შესაბამისი თხოვნის არსებობის შემთხვევაში, კონსულტაცია გაუწიოს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, სხვა საჯარო დაწესებულებებს, კერძო სამართლის იურიდიულ პირებს და ფიზიკურ პირებს ინფორმაციის თავისუფლების სფეროსთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილი უნდა იყოს ითანამშრომლოს სხვა დაწესებულებასთან, განსაკუთრებით სახალხო დამცველთან (დამოუკიდებელი ინფორმაციის კომისიონერის ინსტიტუტის შემოღების შემთხვევაში) და მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციასა და სხვა სახელმწიფოს შესაბამის დაწესებულებასთან ინფორმაციის თავისუფლების სფეროსთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანო განცხადების მიღების შემდეგ დამოუკიდებლად უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას შემოწმების თაობაზე, რის შესახებაც უნდა ეცნობოს განმცხადებელს;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანო კანონის ძალით უნდა იყოს ვალდებული აცნობოს განმცხადებელს განცხადების შემოწმების შედეგები;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება, ხსენებული შემოწმების ჩატარებისას:

ა) დაუბრკოლებლად შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში და დაწესებულებაში;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს მოსთხოვოს და დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა მიიღოს შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა დოკუმენტი და სხვა მასალა;

გ) ნებისმიერ თანამდებობის პირს, მოხელეს, მასთან გათანაბრებულ პირს მოსთხოვოს და მიიღოს წერილობითი ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე.

- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხებდველო ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება შემოწმების შედეგების მიხედვით:

ა) ინფორმაციის თავისუფლების სფეროში კანონმდებლობასთან და კანონპროექტებთან დაკავშირებით წინადადებები, შენიშვნები და რეკომენდაციები წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს ან სხვა შესაბამის ორგანოს;

ბ) ადმინისტრაციულ ორგანოებში საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე მისი ასლების მიღების დარღვეულ უფლების აღსადგენად წინადადებები და რეკომენდაციები გაუგზავნოს იმ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია სახელმწიფოს მიერ ამ უფლების დარღვევა;

გ) შესაბამის ორგანოებში შეიტანოს წინადადებები იმ პირთა დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია ხსენებული უფლების დარღვევა;



დ) ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში;

ე) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აცნობოს ადმინისტრაციულ ორგანოებში საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე მისი ასლების მიღების დაკავშირებით ჩატარებული შემოწმების შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილებები შეიტანოს ყოველწლიურ და სპეციალურ ანგარიშებში.

- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოზე ნებისმიერი ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა უნდა იყოს დაუშვებელი და ისჯებოდეს კანონით;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა უნდა ისჯებოდეს კანონით;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანო სასურველია საქართველოს პარლამენტს წელიწადში ერთხელ წარუდგენდეს ანგარიშს ქვეყანაში ადმინისტრაციულ ორგანოებში საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე მისი ასლების მიღების უფლების დაცვის მდგომარეობის შესახებ;
- ანგარიშში უნდა მიეთითოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ის ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებიც არღვევდნენ ადმინისტრაციულ ორგანოებში საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე მისი ასლების მიღების უფლებას, არ ითვალისწინებდნენ ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს რეკომენდაციებს ამ უფლებათა აღდგენის ღონისძიებების შესახებ;

- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს ანგარიში უნდა შეიცავდეს ქვეყანაში ადმინისტრაციულ ორგანოებში საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე მისი ასლების მიღების უფლების დაცვის შესახებ ზოგად შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს ანგარიში სასურველია ქვეყნებოდეს პარლამენტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. ამასთან, ნებისმიერი სპეციალური ანგარიში შეიძლება გამოქვეყნდეს ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილებით;
- ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს საქმიანობის წლიურ ანგარიშთან ერთად, საქართველოს პარლამენტს სასურველია აგრეთვე წარუდგინოს ამ ორგანოს საქმიანობის ფინანსური ანგარიშიც;
- სასურველია სზაკ-ის 49 მუხლით გათვალისწინებული ე.წ. „10 დეკემბრის“ ანგარიშები საქართველოს საჯარო დაწესებულებებმა წარუდგინონ პირდაპირ ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს, რომელიც უკვე შემდგომ საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ერთიან, კონგლომირებულ შესაბამის ანგარიშს;
- სასურველია, ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანოს ადმინისტრაციულ ორგანოების მხრიდან ეცნობოს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურიდან გათავისუფლების ან სხვა პოზიციაზე გადაყვანის შემთხვევაში; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო ორგანო ჩათვლის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ამ ქმედებას აქვს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განგებ დაბრკოლების მიზანი, საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურიდან

გათავისუფლების ან გადაყვანის პროცესი შეჩერდება საკითხზე საბოლოო დასკვნის გამოტანამდე.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში, ინფორმაციის თავისუფლების სფეროს სპეციალური ზედამხედველობისათვის შესაძლებელია შემოთავაზებულ იქნას ორი ძირითადი მოდელი. იმ შემთხვევაში თუ ინფორმაციის კომისიონერის ფუნქციებს შეითავსებს საქართველოს სახალხო დამცველი სახეზე იქნება „რბილი“ ანუ გადაწყვეტილების მბოჭავი ძალის არმქონე კლასიკური რეკომენდატორის მოდელი, რომელიც არ მოითხოვს ახალი თანამდებობის (და შესაბამისად მისი აპარატის) - ინფორმაციის კომისიონერის შემოღებას.

ანალოგიურ „რბილ“ რეკომენდატორის მოდელთან გვექნება საქმე, თუ მართალია, შემოღებული იქნება საჯარო ინფორმაციის კომისიონერის განცალკევებული თანამდებობის მოდელი, თუმცა მისი უფლებამოსილებები არ გაითვალისწინებენ საჯარო დაწესებულებებისათვის მავალდებულებელი გადაწყვეტილებების გამოცემას. სწორედაც, რომ ამგვარ უფლებამოსილებათა მქონე კომისიონერს ზოგჯერ მოიხსენიებენ ხოლმე, როგორც „ინფორმაციის თავისუფლების ომბუდსმენს.“<sup>85</sup>

შემოთავაზებული ორი ვარიანტის პირობებში საკმარისია ამ თავში ზემოთ მოყვანილი რეკომენდაციების გათვალისწინებაც.

თუმცა არსებობს საჯარო ინფორმაციის კომისიონერის „ძლიერი“ მოდელიც, რა შემთხვევაშიც სახეზეა მის უფლებამოსილებაში მყოფი ბერკეტები, რომლითაც იგი ავალდებულებს საჯარო დაწესებულებებს მის გადაწყვეტილებების აღსრულებას, რასაც ზურგს უმაგრებს შესაბამისი სანქციონების მექანიზმები. აღნიშნული ვარიანტის

<sup>85</sup> The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank (2009). Laura Neuman. *Access to Information Working Paper Series: Enforcement Models – Content and Context*. გვ. 6, 7 და 23.

განხილვისას საჭირო იქნება უკვე შემოთავაზებულ რეკომენდაციებთან ერთად, დამატებითი რეკომენდაციების გათვალისწინება. კერძოდ<sup>86</sup>:

- დაინტერესებულ პირს, საქართველოს ადმინისტრაციულ ორგანოებში საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე მისი ასლების მიღების უფლების დარღვევის შემთხვევაში უფლება ექნება კანონით დადგენილი წესით საჩივრით მიმართოს საჯარო ინფორმაციის კომისიონერს ან სასამართლოს:
  - ა) იმ შემთხვევაში თუ მან გამოიყენა საჯარო დაწესებულებაში ან მის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით განსაზღვრული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა (დაინტერესებულ პირთათვის ნაკლებად ხელმისაწვდომი ვარიაცია);
  - ბ) საჯარო დაწესებულებაში ან მის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით განსაზღვრული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობის გამოყენების მიუხედავად (დაინტერესებულ პირთათვის მეტად ხელმისაწვდომი ვარიაცია).
- ინფორმაციის კომისიონერი ვალდებული იქნება ადმინისტრაციულ ორგანოებში დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე მისი ასლების მიღების უფლების დარღვევის შესახებ ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამგვარ საჩივრის წარდგენისათვის კანონმდებლობით

<sup>86</sup> ხსენებული რეკომენდაციები ერთის მხრივ ემყარება ამავე კვლევაში მოყვანილ საერთაშორისო შედარებით ანალიზს, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის შესაბამის კანონმდებლობით უკვე განსაზღვრულ ანალოგიურ „ძლიერ“ ფუნქციონალურ უფლებამოსილებებს. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლები 26, 39 და 43.

გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, წარმოდგენილი საჩივარი მიიღოს წარმოებაში და გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება;

- სასურველია ხსენებული საჩივარი არ იბეგრებოდეს სახელმწიფო გადასახადით;
- ინფორმაციის კომისიონერს საჩივრის მიღების შემდეგ საქმის შესწავლის მიზნით უნდა ჰქონდეს უფლება:

ა) დაუბრკოლებლად შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში და დაწესებულებაში;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს მოსთხოვოს და დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა მიიღოს საქმის შესასწავლად აუცილებელი ყველა დოკუმენტი და სხვა მასალა;

გ) ნებისმიერ თანამდებობის პირს, მოხელეს, მასთან გათანაბრებულ პირს მოსთხოვოს და მიიღოს წერილობითი ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე.

- თუ ინფორმაციის კომისიონერი აღმოაჩენს ადმინისტრაციულ ორგანოებში საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე მისი ასლების მიღების უფლების დარღვევას, იგი უფლებამოსილი იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებით:

ა) მოსთხოვოს საჯარო დაწესებულებას დადგენილ ვადაში დაინტერესებულ პირზე საჯარო ინფორმაციის გაცემა;

ბ) დაავალდებულოს საჯარო დაწესებულება დაუშვას დაინტერესებული პირი იმ დოკუმენტის გასაცნობად, რომელიც შეიცავს მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას.

- ინფორმაციის კომისიონერის გადაწყვეტილება უნდა იყოს შესასრულებლად სავალდებულო და უნდა არსებობდეს მისი კანონით დადგენილი წესით, მხოლოდ სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა;
- საჯარო დაწესებულება ვალდებული უნდა იყოს ინფორმაციის კომისიონერის მიერ მითითებულ ვადაში შეასრულოს მისი მოთხოვნები და აღნიშნულის შესახებ აცნობოს მას;
- თუ საჯარო დაწესებულება არ ასრულებს ინფორმაციის კომისიონერის მოთხოვნებს, კომისიონერი უფლებამოსილი უნდა იყოს მიმართოს სასამართლოს;
- თუ ინფორმაციის კომისიონერი გამოავლენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, იგი უფლებამოსილი უნდა იყოს შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და შესაბამისად საჯარო დაწესებულების შესაბამის პირს დააკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა;
- თუ ინფორმაციის კომისიონერი საქმიანობის პროცესში მიიჩნევს, რომ არსებობს დანაშაულის ნიშნები, იგი ვალდებული იქნება ეს აცნობოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს;
- უნდა დაწესდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ინფორმაციის თავისუფლების ნორმათა დარღვევისათვის - კანონით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისას მაგ. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის გაფრთხილება ან დაჯარიმება 250-500 ლარის ოდენობით, იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი

წლის განმავლობაში უკვე შეეფარდა ხსენებული ადმინისტრაციული სახდელი - 1000 ლარამდე ოდენობით.

- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისათვის ინფორმაციის თავისუფლების ნორმათა დარღვევად შესაძლებელია მოაზრებულ იქნას, მაგ: *კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საჯარო ინფორმაციის გაცემის უგულვებელყოფა, დაინტერესებული პირის მხრიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიღებაზე უარი, დაინტერესებული პირის იმ დოკუმენტის გასაცნობად არ დაშვება, რომელიც მოიცავს მოთხოვნილ ინფორმაციას, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულების შეუსრულებლობა ან არასრულყოფილად შესრულება, საჯარო დაწესებულების ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ინფორმაციის კომისიონერისათვის ე.წ. ათი დეკემბრის ანგარიშის მიწოდების უგულვებელყოფა და ა.შ.*
- ინფორმაციის კომისიონერი ვალდებული იქნება საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე შექმნას და პროაქტიულად გამოაქვეყნოს მიღებულ გადაწყვეტილებათა საძიებო არქივი;
- ინფორმაციის კომისიონერი ვალდებული იქნება პარლამენტისადმი საკუთარ წლიურ ანგარიშში ასახოს ინფორმაცია დავების, მიღებულ გადაწყვეტილებათა და დაკისრებულ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობათა შესახებ.

საინტერესოა, რომ გლობალურ ტენდენციებზე საუბრისას, გასული ათი წლის განმავლობაში მიღებულ კანონმდებლობათა ანალიზი ავლენს **მხოლოდ** გადაწყვეტილებების მიმღები კომისიონერების შექმნისაკენ მიდრეკილებას, მაშინ როდესაც უფრო ძველი კანონები ემბრობოდნენ ომბუდსმენს ან რეკომენდაციების გაწევის ძალის მქონე ინფორმაციის კომისიონერებს. ამასთან, ხსენებული

ტენდენციების გეოგრაფიულ ჭრილში განხილვისას ირკვევა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში არსებობს „სუსტი“ - რეკომენდატორი ინფორმაციის კომისიონერების არსებობისაკენ მიდრეკილება, მაშინ როდესაც უახლესი ლათინურ ამერიკული და კარიბის ზღვის ქვეყნების კანონმდებლობები ტენდენციურად იხრებიან მბოჭავი გადაწყვეტილებების მიღების უნარის მქონე კომისიებისაკენ.<sup>87</sup>

საქართველოს რეალობაში ინფორმაციის თავისუფლების სფეროს ზედამხედველობის გაძლიერების სხვადასხვა მოდელის შერწყმაზე საუბრისას, რა თქმა უნდა, დღის წესრიგში დგას მრავალი ღია საკითხი და შესასწავლი გარემოება, რაც წინ შეიძლება უძღოდეს იმ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, რომლებიც ჩვენს სამართლებრივ სისტემაში შემოიტანდნენ შესაბამისი რეგულირების უფრო მძლავრ ბერკეტებს. ვივარაუდებთ, რომ ამგვარ საკითხებს თუ გარემოებებს მიეკუთვნება მაგალითად: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მთავრობასთან ანგარიშვალდებულების შეუსაბამობა მომავალი საჯარო ინფორმაციის კომისიონერის ან ომბუდსმენის საპარლამენტო ანგარიშვალდებულებასთან, საჯარო დაწესებულებათა მიერ რეკომენდაციების თუ მბოჭავი გადაწყვეტილებების შესრულების მზაობის გაურკვეველი დონე, გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე ხელისუფალთა დაინტერესება საკითხის რეგულირების მიმართ, ახალი ინსტიტუტის შექმნით განპირობებული პოტენციური საბიუჯეტო ტვირთის განსაზღვრის საჭიროება და *მისთ*.

ნებისმიერ შემთხვევაში, სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე, ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი საჯარო ინფორმაციის კომისიონერის ზოგადი ფუნქცია-მოვალეობების და ინსტიტუციონალური ასპექტების განხილვა, იმედია, ხელს შეუწყობს საკითხის რეგულირების ოპტიმალური მოდელის ძიებისა და პოვნის პროცესს.

<sup>87</sup> The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank (2009). Laura Neuman. *Access to Information Working Paper Series: Enforcement Models – Content and Context*. გვ. 14.